**ხელშეკრულება N02/10/014-17**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „27" დეკემბერი 2016 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ირაკლი ბერეკაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „ჯი-თი მოტორსი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის, „თ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ***გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:***

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის ბალანსზე რიცხული 11 ერთეული სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილებით დროულად, ხარისხიანად შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50110000).

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დასახელება, მოდელი და რაოდენობა მოცემულია დანართ 1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გეგმიური ტექნიკური მომსახურების და საქონლის ჩამონათვალი, პერიოდულობა და ფასები მოცემულია დანართ 2-ში, ხოლო სხვა ტექნიკური მომსახურების და საქონლის ჩამონათვალი და ფასები მოცემულია დანართ 3-ში. დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების დანართ 2-ში და დანართ 3-ში არ არსებობს რომელიმე სახის საქონელი ან მომსახურება, აღნიშნული საქონლის ან მომსახურების ერთეულის ფასი დადგინდება მხარეებს შორის მიღწეული ურთიერთშეთანხმებით, მიმწოდებლის სერვისში არსებული ფასების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში დანართ 3-ში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს ხელშეკრულების დანართ 3-ში დაფიქსირებული ჯამური ღირებულების 10%-ს.

## 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ***10 000,00 (ათიათასი) ლარს.***

2.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი 2 და 3-ით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობთ ეკისრება მიმწოდებელს.

## 3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1 მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას გაუწევს 2017 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.2 შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენის შემდეგ, მიმწოდებელი იმავე დღეს (თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება წარდგენილი იქნა არასამუშაო დღეს ან სამუშაო დღის მეორე ნახევარში ან დიაგნოსტირების მოცულობიდან გამომდინარე არ ესწრება დეფექტური აქტის შედგენა, - მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე) ადგენს დეფექტურ აქტს. აქტში მიეთითება სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები, მომსახურების ღირებულება, საერთო თანხა და შესრულების ვადა. ფასები მითითებული უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილის (დანართი 2 და 3) მიხედვით.

3.3 დეფექტურ აქტზე შემსყიდველის წარმომადგენლის ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელი ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ მომსახურებას.

3.4 შემსყიდველი მიმწოდებელს წინასწარ შეუთანხმდება კონკრეტული ავტოსატრანსპორტო საშუალების გეგმიური და დიაგნოსტიკით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურების მისაღებად მიმწოდებლის სერვისში გამოცხადების დღისა და დროის შესახებ. ამ ვადის შემსყიდველის მხრიდან დარღვევის შემთხვევაში გადაიწევს მომსახურების მიწოდების ვადაც.

3.5 ავტოსატრანსპორტო საშუალების დიაგნოსტირების დაწყების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სერვისში ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენიდან მომდევნო სამუშაო დღეს და დიაგნოსტიკური, სავალი ნაწილების, ელექტროობის და აგრეგატების დაზიანების შემთხვევაში ამ ხელშეკრულების დანართი 3-ით

გათვალისწინებული სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს ერთიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
3.6 თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების 3.5. მუხლში ჩამოთვლილი ტექნიკური მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილი არ არის მიმწოდებლის საწყობში და დასაკვეთია, შესაძლებელია მომსახურების გაწევის ვადა გაიზარდოს არაუმეტეს 30 კალენდარულ დღემდე. გამონაკლის შემთხვევებში: თუ დაზიანება მიეკუთვნება საგარანტიო შემთხვევების კატეგორიას, და/ან დაზიანება რთული - კომპლექსური ხასიათისაა; და/ან საჭიროა დამატებით სათადარიგო დეტალების დაკვეთა; მაშინ მიმწოდებელი განსაზღვრავს დამატებითი გონივრული ვადის შესახებ და აცნობებს შემსყიდველს, ეს ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე მეტი.
3.7 შესაძლებელია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გეგმიური ტექნიკური მომსახურების განსახორციელებლად შემსყიდველმა მიმწოდებელს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველის შემდეგი ელექტრონული მისამართიდან taminashvili@temsc.gov.ge მიმწოდებლის შემდეგ ელექტრონულ მისამართზე service@ford.com.ge; parts@ford.com.ge.
3.8 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ 3.7 პუნქტით განსაზღვრული ელექტრონული მისამართიდან გაგზავნილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გეგმიური ტექნიკური (ამ ხელშეკრულების დანართი 2-ით გათვალისწინებული) მომსახურება განახორციელოს ინფორმაციის მიღებიდან და ავტომობილის სერვისში წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს.
3.9 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ხარისხიანად, დროულად და შეუფერხებლად.
3.10 მომსახურების გაწევის ადგილია თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ; და ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის 48ვ.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს **2017 წლის 06 მარტის ჩათვლით.**

## 5. სტანდარტები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს არსებულ სტანდარტებთან შესაბამისი მომსახურება.
5.2 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

## 6. საქონლის ხარისხი და საგარანტიო პირებები

6.1 ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.
6.2 მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საქონელზე და გაწეულ მომსახურებაზე უნდა გავრცელდეს გარანტია არანაკლებ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ საგარანტიო ვადის განმავლობაში გაწეულ მომსახურებაზე ნებისმიერი შესაძლო განმეორებითი მომსახურება და სათადარიგო ნაწილი შეძენილი იქნება მხოლოდ მიმწოდელის სერვის-ცენტრში. გარანტია არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური გარეგანი ზემოქმედებით ან/და როდესაც დაზიანება გამოწვეულია ავტომობილის და მისი აღჭურვილობის არასწორი ექსპლუატაციით; ავტომობილის გადატვირთვით; შეუსაბამო საწვავისა და საცხებ-საპოხი მასალის გამოყენებით. გარანტია არ ვრცელდება სწრაფცვეთად დეტალებზე.
6.3 საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული ან საქარხნო დეფექტის და ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ან დაზიანების შემთხვევაში უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით, შემსყიდველის მიერ შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია აცნობოს შემსყიდველს საჭირო გონივრული ვადის შესახებ.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, ეს პირობა ვრცელდება მხოლოდ მიმწოდებლის კუთვნილ სერვის-ცენტრზე. ტექნიკური მომსახურების გაწევისათვის და/ან ტექნიკური კონტროლისათვის შემსყიდველი ვალდებულია თავად უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მიმწოდებლის სერვის ცენტრამდე მიყვანა ან ევაკუირება. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა საქარხნო დეფექტის ან მისი ბრალეულობით გამოწვეული ნაკლის აღმოფხვრა.
7.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
7.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ამავე სამსახურის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური განყოფილების უფროსი, ამავე სამსახურის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები.**

## 8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
8.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტში მითითებული პირები.
8.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 9. ანგარიშსწორება

9.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
9.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.
9.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღრებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კერძოდ: როცა მიმწოდებელი საერთოდ უარს ამბობს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებაზე, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 18. შეტყობინება

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 19. სხვა პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
19.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
19.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
19.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

| | |
|---|---|
| **შემსყიდველი**<br>**სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“** | **მიმწოდებელი**<br>**შპს „ჯი-თი მოტორსი“** |
| მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8<br>ტელ: 2 547099<br>ს/კ 200280141<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ბანკის კოდი: TRESGE22<br>ანგარიში, სახაზინო კოდი: 300779921 | მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ;<br>ტელ: 2 595000/2596796<br>ს/კოდი: 206276340<br>ს/ს „საქართველოს ბანკი“<br>კოდი: BAGAGE22<br>ა/ა GE89BG0000000247624300 |
| **დირექტორის მოადგილე**<br>**/ირაკლი ბერეკაშვილი/** | **დირექტორი**<br>**/თემურ უსტიაშვილი/** |

| სსიპ ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ბალანსზე რიცხული ფორდის მარკის სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № | ავტომობილის მარკა მოდელი | სახ № | გამოშვების წელი | VIN: (საიდენტიფიკაციო კოდი) | ტიპი |
| 1 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-327-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19494 | სპეციალური |
| 2 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-329-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19754 | სპეციალური |
| 3 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-330-HA | 2014 | WF01XXTTG1EA21034 | სპეციალური |
| 4 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-332-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19489 | სპეციალური |
| 5 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-334-HA | 2014 | WF01XXTTG1EA21013 | სპეციალური |
| 6 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-335-HA | 2014 | WF01XXTTG1EA21045 | სპეციალური |
| 7 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-336-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19743 | სპეციალური |
| 8 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-337-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19735 | სპეციალური |
| 9 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-338-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19482 | სპეციალური |
| 10 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-339-HA | 2014 | WF01XXTTG1EA21025 | სპეციალური |
| 11 | ფორდ ტრანზიტ კუსტომი | AH-340-HA | 2014 | WF01XXTTG1EA19509 | სპეციალური |

შემსყიდველი

ირაკლი ბერეკაშვილი

მიმწოდებელი

თემურ უსტიაშვილი

ფორდის მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გეგმიური ტექნიკური მომსახურების და საქონლის ჩამონათვალი, პერიოდულობა და ფასები

| გარბენი კმ. | Custom 2.2 WF01XXTTG1EA19502 | განზომილების ერთეული | ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით ლარში | მომსახურების ღირებულება, ლარში დღგ-ს ჩათვლით |
|---|---|---|---|---|
| 5000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 5000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 10000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 10000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 20000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 20000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 20000 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 46.80 | 8.00 |
| 20000 | საწვავის ფილტრი | ცალი | 122.00 | 12.00 |
| 20000 | სალონის ფილტრი | ცალი | 65.60 | 12.00 |
| 20000 | უკანა ხუნდების სენსორი | ცალი | 150.40 | 40.00 |
| 20000 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 323.70 | |
| 30000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 30000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 30000 | წინა ხუნდები | კომპლექტი | 315.20 | 28.00 |
| 40000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 40000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 40000 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 46.80 | 8.00 |
| 40000 | სალონის ფილტრი | ცალი | 65.60 | 12.00 |
| 40000 | საწვავის ფილტრი | ცალი | 122.00 | 12.00 |
| 40000 | უკანა ხუნდების სენსორი | ცალი | 150.40 | 40.00 |
| 40000 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 323.70 | |
| 50000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 50000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 50000 | სამუხრუჭე სითხე DOT-4 4L | ცალი | 64.00 | 60.00 |
| 60000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 60000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 60000 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 46.80 | 8.00 |
| 60000 | სალონის ფილტრი | ცალი | 65.60 | 12.00 |
| 60000 | საწვავის ფილტრი | ცალი | 122.00 | 12.00 |
| 60000 | საყრდენი დისკები წინა MIN 24MM | კომპლექტი | 493.20 | 72.00 |
| 60000 | წინა ხუნდები | კომპლექტი | 315.20 | |
| 60000 | უკანა ხუნდების სენსორი | ცალი | 150.40 | 40.00 |
| 60000 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 323.70 | |
| 70000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 70000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 80000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 80000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 80000 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 46.80 | 8.00 |
| 80000 | სალონის ფილტრი | ცალი | 65.60 | 12.00 |
| 80000 | საწვავის ფილტრი | ცალი | 122.00 | 12.00 |
| 80000 | საყრდენი დისკები უკანა MIN 24MM | კომპლექტი | 633.00 | 128.00 |
| 80000 | უკანა ხუნდების სენსორი | ცალი | 150.40 | |
| 80000 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 323.70 | |
| 90000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 90000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 90000 | წინა ხუნდები | კომპლექტი | 315.20 | 28.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 100000 | Castrol 5w30 6.2L | ლიტრი | 155.00 | 20.00 |
| 100000 | ზეთის ფილტრი | ცალი | 38.70 | |
| 100000 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 46.80 | 8.00 |
| 100000 | საწვავის ფილტრი | ცალი | 122.00 | 12.00 |
| 100000 | სალონის ფილტრი | ცალი | 65.60 | 12.00 |
| 100000 | უკანა ხუნდების სენსორი | ცალი | 150.40 | 40.00 |
| 100000 | უკანა ხუნდები | კომპლექტი | 323.70 | |
| 100000 | სამუხრუჭე სითხე DOT-4 4L | ცალი | 64.00 | 60.00 |
| 100000 | ძრავის ჯაჭვი | ცალი | 326.50 | 276.00 |
| 100000 | ღვედის დამჭიმი | ცალი | 368.75 | |
| 100000 | გენერატორის ღვედის დამჭიმი | ცალი | 368.75 | |
| 100000 | ძრავის წინა სალნიკი | ცალი | 56.60 | |
| 100000 | შკივის ბოლტი 3 ც | ცალი | 62.40 | |
| 100000 | დინამოს ღვედი | ცალი | 114.60 | |
| 100000 | კომპრესორის ღვედი | ცალი | 240.20 | |
| 100000 | დამამშვიდებელი | ცალი | 43.85 | |
| 100000 | დამამშვიდებელი | ცალი | 51.80 | |
| 100000 | დამამშვიდებელი | ცალი | 175.10 | |
| 100000 | ძრავის დაფა | ცალი | 346.00 | |
| 100000 | გერმეტიკი | ცალი | 69.16 | |

| | |
|---|---|
| შენიშვნა 1: | ძრავში ზეთის, ზეთის ფილტრის შეცვლა ყოველ მოცემულ გარბენზე ან 6 თვეში ერთხელ |
| შენიშვნა 2: | ავტომობილის გეომეტრიული ზომების დარღვევის შემთხვევაში (რაზვალის), გასწორების ღირებულება შეადგენს 20 ლარს დღგ–ს ჩათლით. |
| შენიშვნა 3: | ხუნდების, საყრდენი დისკების და ჰაერის ფილტრის, საწვავის ფილტრის შეცვლა დამოკიდებულია მძღოლსა და გარემო პირობებზე. საყრდენი დისკების გამოცვლის კმ–ს დადგომისას, გაიზომება მათი სისქე და თუ გამოსაცვლელი არ არის არ გამოიცვლება, მანამ სანამ არ ჩამოვა საყრდენი დისკის სისქე დასაშვებ მინიმუმზე ქვემოთ |

შემსყიდველი

ირაკლი ბერეკაშვილი

მიმწოდებელი

თემურ უსტიაშვილი

ფორდის მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების და საქონლის ჩამონათვალი და ფასები

| N | *ნაწილების დასახელება* | *ნაწილის ერთეულის დასახელება (ლარი)* | *ერთეულზე მომსახურების ღირებულება (ლარი)* |
|---|---|---|---|
| 1 | ქვედა გიტარა | 479.50 | 36.00 |
| 2 | ბურთულა თითი | 494.00 | 42.00 |
| 3 | უკანა მორგვის საკისარი | 570.00 | 66.00 |
| 4 | წინა მორგვის საკისარი | 590.00 | 60.00 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | 414.80 | 54.00 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | 380.00 | 24.00 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | 65.50 | 66.00 |
| 8 | დამრტყმელის სამტვერე | 180.00 | 36.00 |
| 9 | ქანქარა (მახავიკი) | 1,741.85 | 258.00 |
| 10 | ვიჟიმნოი | 344.00 | 240.00 |
| 11 | ცეპლენიის მთავარი ცილინტრი | 179.40 | 48.00 |
| 12 | ძრავის ღვედი | 326.50 | 216.00 |
| 13 | ძრავის უკანა ჩობალი | 354.50 | 276.00 |
| 14 | მუხრუჭის ცილინდრი | 350.75 | 66.00 |
| 15 | სპირალი | 60.00 | 114.00 |
| 16 | ტურბო | 3,466.40 | 180.00 |
| 17 | ტურბოს გამაგრილებელი ავზი | 516.60 | 54.00 |
| 18 | წყლის გამაგრილებელი ავზი | 913.40 | 102.00 |
| 19 | ამყოლიდისკი/დამწოლი დისკი | 1,625.20 | 240.00 |
| 20 | უკანა საყრდენი დისკი | 316.50 | 66.00 |
| 21 | წინა საყრდენი დისკი | 246.60 | 72.00 |
| 22 | წევის დაბოლოების ბუნიკი | 186.50 | 30.00 |
| 23 | უდარნი ტიაგა | 504.60 | 24.00 |
| 24 | მაყუჩი კომპლექტში | 1,601.35 | 38.00 |
| 25 | გადაცემათა კოლოფის ბალიში | 460.60 | 24.00 |
| 26 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი | 21.00 | 36.00 |
| 27 | მშრალი ამორტიზატორი | 295.40 | 47.00 |
| 28 | ელექტრო დიაგნოსტიკა | | 60.00 |
| 29 | წინა ზამბარა | 333.55 | 84.00 |
| 30 | ძრავქვეშა ბალიში | 538.80 | 48.00 |
| 31 | თერმოსტატი | 102.90 | 72.00 |
| 32 | კარის საკეტი | 698.45 | 24.00 |
| 33 | საჭის დამცავი ბალიში | 1,092.10 | 120.00 |
| 34 | ტორპედოს დამცავი ბალიში | 1,876.20 | 300.00 |
| 35 | გენერატორი | 1,952.20 | 60.00 |
| 36 | გენერატორის ღვედი | 114.60 | 42.00 |
| 37 | წყლის ტუმბო | 422.60 | 78.00 |
| 38 | საწვავის ტუმბო | 4,012.00 | 96.00 |
| 39 | საჭის გამაძლიერებლის ტუმბო | 1,640.60 | 72.00 |
| 40 | ზეთის ტუმბო | 228.10 | 96.00 |
| 41 | უკანა საქარე მინა | 503.60 | 84.00 |
| 42 | წინა საქარე მინა | 964.30 | 102.00 |
| 43 | ხმოვანი საყვირი | 268.80 | 18.00 |
| 44 | წინა მაშუქი | 609.20 | 12.00 |
| 45 | ნათურა ახლოხედვის | 102.15 | 6.00 |
| 46 | ნათურა შორსხედვის | 102.15 | 6.00 |
| 47 | ნათურა მოხვევის მაჩვენებლის | 12.60 | 6.00 |
| 48 | სალონის მაჩვენებლის დაფა | 1,144.15 | 24.00 |
| 49 | სალონში უკანახედვის სარკე | 161.85 | 12.00 |
| 50 | საქარე მინის საწმენდი ჩოთქები | 128.30 | 6.00 |
| 51 | საბარგულის საკეტი | 502.80 | 18.00 |
| 52 | დამქოქი მექანიზმი | 1,473.90 | 60.00 |
| 53 | წინა დამცავი ბამპერი | 774.20 | 42.00 |
| 54 | უკანა დამცავი ბამპერი | 434.95 | 24.00 |

"GT MOTORS" LTD * 206276340 * GT MOTORS

| | | | |
|---|---|---|---|
| 55 | მარცხენა გვერდითი სარკე | 521.20 | 42.00 |
| 56 | მარჯვენა გვერდითი სარკე | 521.20 | 42.00 |
| 57 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 45.00 | 60.00 |
| 58 | ანტიფრიზი | 32.00 | 60.00 |
| 59 | ჰიდრავლიკის ზეთი | 106.80 | 60.00 |
| 60 | სამუხრუჭე სითხე | 32.00 | 120.00 |
| 61 | ხიდის ზეთი | 45.00 | 60.00 |
| 62 | წინა ფრთა | 510.50 | 36.00 |
| 63 | საჭის მექანიზმი | 3,710.40 | 174.00 |
| 64 | წყლის ავზის ხუფი | 45.50 | 6.00 |
| 65 | ფრთის ქვეშა საფარი | 422.35 | 18.00 |
| 66 | დისკის ჭანჭიკი | 13.65 | 6.00 |
| 67 | საჭის ღერძი | 467.80 | 58.00 |
| 68 | წყლის გამაგრილებელი ვინტილატორი | 911.35 | 42.00 |
| 69 | ფეჩის ვინტილატორი | 715.19 | 36.00 |
| 70 | შუშის ამწევი მექანიზმის დაფა | 893.33 | 54.00 |
| 71 | ტორპედო | 2,283.50 | 126.00 |
| 72 | უკანა ამორტიზატორის ფიქსატორი (ლიმონჩიკი) | 69.45 | 54.00 |
| 73 | შუშის საწმენდი წყლის ავზი | 170.00 | 24.00 |
| 74 | შუშის საწმენდი იწყლის ავზის ძრავი | 80.00 | 24.00 |
| 75 | სავარძლის ღვედი | 627.10 | 30.00 |
| 76 | შემფრქვევი | 1,260.64 | 30.00 |
| 77 | გაბარიტის ნათურა | 6.00 | 6.00 |
| 78 | სანომრის ნათურა | 6.00 | 6.00 |
| 79 | ჰიდრავლიკის ღვედი | 187.49 | 36.00 |
| 80 | რესორი | 750.00 | 60.00 |
| 81 | თვლების ნახარის გასწორება | | 20.00 |
| 82 | უკანა სტოპი მარჯვენა | 451.80 | 18.00 |
| 83 | კარის მოლდინგი | 70.00 | 24.00 |
| 84 | გვერდითი მოლდინგი | 115.00 | 30.00 |
| 85 | სასრიალო კარის შუა როლიკი | 450.20 | 30.00 |
| 86 | უკანა კარის სახელური | 210.00 | 48.00 |
| 87 | გვერდითი კარის სახელური | 1,221.45 | 18.00 |
| 88 | წინა კარის სახელური | 60.00 | 30.00 |
| 89 | მინის საწმენდი | 128.30 | 6.00 |
| 90 | საბურავის წნევის სენსორი | 135.30 | 24.00 |
| 91 | ჰიპკა | 36.40 | 3.00 |
| 92 | 1-საბურავის დაშლა აწყობა | | 3.00 |
| 93 | 1-საბურავის ბალანსირება | | 8.00 |
| 94 | საბურავის აღდგენა(ლატკის ზომის მიხედვით) | | 8; 15; 25 |
| 95 | სრიალა კარის შემაერთებელი | 100.70 | 60.00 |
| 96 | სრიალა კარის საკეტი | 1252.00 | 90.00 |

შემსყიდველი

ირაკლი ბერეკაშვილი

მიმწოდებელი

თემურ ყუსტიაშვილი